

საქართველოს რესპუბლიკური პარტიის

წინასაარჩევნო განაცხადი

რატომ არის ხელისუფლების შეცვლა აუცილებელი

2008 წლის 21 მაისს საქართველოში გაიმართება საპარლამენტო არჩევნები. საქართველოს რესპუბლიკური პარტია ამ არჩევნებს განიხილავს, როგორც სააკაშვილის ავტორიტარული მმართველობიდან დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლის გადამწყვეტ ეტაპს.

სააკაშვილის ხელისუფლება ოთხი წლის მანძილზე მიზანმიმართულად ამკვიდრებდა შიშს და განუკითხაობის ატმოსფეროს, ცდილობდა საყოველთაოდ დაენერგა ხელისუფლების უკომპრომისობის და თუნდაც აშკარა უსამართლობის მიმართ მორჩილების განცდა. იმავედროულად, "ლიბერალური რეფორმების" ეგიდით საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროში ხდებოდა გაუაზრებელი, არაკომპეტენტური გადაწყვეტილებების მიღება და განხორციელება.

შედგავდ მივიღეთ უმუშევრობის კატასტროფულად მაღალი დონე, სრულიად მოშლილი განათლების სისტემა, პროკურატურის მონა-მორჩილი სასამართლოები, ელიტარულ კორუფციაზე აწყობილი ეკონომიკა, სადაც ყველაფერს განაგებენ სახელისუფლო სტრუქტურებთან შერწყმული ოლიგარქიული ჯგუფები და ადგილი არ რჩება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უკიდურეს მატერიალურ შეჭირვებას განიცდის და სოციალურად დაუცველია, კიდევ უფრო გართულდა და გაუარესდა ვითარება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. რაც მთავარია, მთელი ეს პროცესები მიმდინარეობდა ხელისუფლების მხრიდან აგრესიული ცინიზმისა და საზოგადოების აზრის სრული იგნორირების ფონზე.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ყოველად გაუმართლებელი და უპრინციპო მხარდაჭერა, რომელსაც დასავლეთის ქვეყნები, საერთაშორისო ორგანიზაციები და, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია იჩენდა სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ. ე. წ. "ვარდების რევოლუციის" ტალღაზე მოსული ახალგაზრდა მმართველი გუნდი უკრიტიკოდ იქნა მიჩნეული ერთადერთ პროდასავლურ და დემოკრატიულ ძალად საქართველოში. დასავლეთი დიდხანს ჯიუტად არ იმჩნევდა სააკაშვილის მმართველობის ავტორიტარულ მეთოდებს,

კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობის პრინციპის სისტემატურ უზღუდვებელყოფას, თავისუფალი მედიის შეზღუდვისა და კერძო საკუთრების ხელყოფის ფაქტებს. ამგვარმა მხარდაჭერამ ხელისუფლება კიდევ უფრო გაათავხედა და მისი ძალადობრივი ქმედებები საკუთარი მოქალაქეების მიმართ გაუსაძლისი გახადა.

ხელისუფლების ძალმომრეობას ქართულმა საზოგადოებამ პოსტსაბჭოთა პერიოდისთვის უპრეცედენტო მასშტაბის საპროტესტო გამოსვლებით უპასუხა. გასული წლის შემოდგომაზე პროტესტის ტალღა მთელ საქართველოს მოედო. ერთად დადგა პრაქტიკულად მთელი ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი, საზოგადოებრივი და უფლებადაცვითი ორგანიზაციები, უბრალო მოქალაქეები. პროტესტის კულმინაცია იყო 2 ნოემბრის გრანდიოზული მიტინგი, როდესაც ასიათასობით ადამიანი გამოვიდა რუსთაველის გამზირზე საკუთარი ღირსების დასაცავად.

მეტ-ნაკლებად გონიერი ხელისუფლება ასეთ დროს კომპრომისზე წასვლას და სიტუაციის განმუხტვას შეეცდებოდა, მაგრამ მიხეილ სააკაშვილი და მისი გარემოცვა იმდენად იყვნენ უკონტროლო ძალაუფლებით თავბრუდახვეულები, რომ მშვიდობიან აქციებს 7 ნოემბერს მხუთავი გაზით და რეზინის ტყვიებით უპასუხეს, რასაც მოჰყვა დამოუკიდებელი ტელეკომპანია "იმედის" დარბევა და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება. საპროტესტო გამოსვლები სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად შეფასდა, ხოლო ოპოზიციის ლიდერები რუსეთის აგენტობაში იქნენ დადანაშაულებული.

თუმცა, 7 ნოემბრის მოვლენებს ისეთი მძლავრი რეზონანსი ჰქონდა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, რომ სააკაშვილი იძულებული გახდა გადამდგარიყო და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დაენიშნა.

2008 წლის 5 იანვარს ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ გამოავლინა მებრძოლი სული და მაღალი სამოქალაქო შეგნება. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება წინასაარჩევნო კამპანიას აწარმოებდა მოსახლეობაზე სასტიკი ზეწოლის, ამომრჩევლის დაშინებისა და მოქრთამვა-მოსყიდვის მეშვეობით, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების დღეს გამოყენებულ იქნა გაყალბების ყველა შესაძლო ხერხი, სააკაშვილი ფაქტობრივად დამარცხდა. მან ვერ დააგროვა საკმარისი ხმების რაოდენობა პირველ ტურში გამარჯვებისთვის და მხოლოდ ოქმების მასიური, ხელახალი გადაწერით მოხერხდა 53 პროცენტის გამოყვანა.

საქართველოს რესპუბლიკური პარტია იყო საშემოდგომო გამოსვლების ერთ-ერთი ორგანიზატორი და ნოემბრის მძიმე დღეებში ხალხის გვერდით იდგა სხვა ოპოზიციურ ძალებთან ერთად. რესპუბლიკელები აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი აზრის მობილიზებაში და თავიანთი ინტელექტუალური და

ორგანიზაციული რესურსით წამყვან როლს ასრულებდნენ 5 იანვრის საარჩევნო კამპანიაში.

რატომ არის ხელისუფლების შეცვლა გარდაუვალი

ნოემბრის მოვლენებისა და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ქვეყანაში ფაქტობრივად ახალი ეპოქა დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების შედეგები გაყალბდა და ხალხს მოპარეს არჩევნების მეორე ტური, საზოგადოების ძალისხმევას ამოდ არ ჩაუვლია. თუ გავისხენებთ რა სიტუაცია იყო ქვეყანაში 2007 წლის ნოემბრამდე, მიღწევები ძალზე შთამბეჭდავია. კერძოდ:

- 1. დღეს საქართველოს ჰყავს ფაქტობრივად არალეგიტიმური პრეზიდენტი.** თუკი სააკაშვილისთვის რიგგარეშე არჩევნების მიზანი საგრძნობლად შერყეული ლეგიტიმურობის აღდგენა იყო, ამ არჩევნების შედეგად მისი ლეგიტიმურობის ხარისხი ნულამდე დავიდა. გაყალბებული არჩევნებით მოსულმა პრეზიდენტმა კარგად იცის, რომ ხალხის მხარდაჭერა არ გააჩნია, რაც ნებისმიერ შემთხვევაში უბიძგებს მას გარკვეული კომპრომისებისკენ.
- 2. არსებითად დაძლეულია შიშის სინდრომი.** ნოემბერ-იანვრის მოვლენებმა მომაკვდინებელი დარტყმა მიაყენა მოსახლეობაში შიშის დანერგვის მცდელობას, რაც ხელისუფლების პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ვექტორი იყო. ლოზუნგი «არ მეშინია!» რეალობად იქცა. იქ, სადაც საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ ასე ათასზე მეტი ადამიანი გამოდის ქუჩაში, შიშის სინდრომზე ლაპარაკი აღარ არის. თუკი სადმე მაინც შეინიშნება მსგავსი რეციდივები, ეს უფრო ახლო წარსულის ინერციაა, ვიდრე ამჟამინდელი ტენდენცია.
- 3. ჩაიშალა კულტურული რევოლუციის (ახალი ადამიანის გამოყვანის) მცდელობა.** კომუნისტური იდეოლოგიიდან ნასესხები იდეა «ახალი ადამიანის» აღზრდის შესახებ სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი პროექტი იყო. ტრადიციული მორალურ-ეთიკური ღირებულებები «ქურდულ მენტალიტეტად» წარმოჩინდებოდა, სახელისუფლო გუნდის ერთგულება კი პრაქტიკულად ერთადერთ ღირსებად. ისეთი სურათი იხატებოდა, რომ საქართველოს ისტორია იწყება 2003 წლის 23 ნოემბრიდან და მანამდე იყო მხოლოდ ბნელი და უკუნი... დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ «კულტურულ რევოლუციად» მონათლული ანტიკულტურული ექსპერიმენტი სრული კრახით დასრულდა.
- 4. წარსულს ჩაბარდა ასაკობრივი დისკრიმინაცია.** ზემოთ ნახსენები «კულტურული რევოლუციის» ერთ-ერთი ყველაზე შეურაცხყოფელი გამოვლინება გახლდათ ასაკობრივი დისკრიმინაცია, როდესაც აქტიური

საზოგადოებრივი ცხოვრებიდან შეგნებულად გარიყული იყო პრაქტიკულად მთელი საშუალო და უფროსი ასაკის თაობა. ამ ნიშნით ხდებოდა ადამიანების მასობრივი გათავისუფლება სამსახურებიდან და ნებისმიერ ვაკანსიაზე უპირატესობა ენიჭებოდა 25-30 წლის ახალგაზრდებს. ნოემბრის მოვლენების შემდეგ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და ახლა ამგვარ მიდგომაზე საერთოდ აღარ არის ლაპარაკი

5. **ნაციონალური მოძრაობა, როგორც მმართველი მონოლითური ძალა პრაქტიკულად აღარ არსებობს.** გაღრმავდა ბზარები თავად სახელისუფლო გუნდის შიგნით და დაიწყო მმართველი პარტიის კრიზისი. უკანა პლანზე გადაინაცვლეს იმ პოლიტიკურმა ფიგურებმა (ბოკერია, ლომია და სხვ.), რომლებიც ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგიურ ბირთვს შეადგენდნენ. პარტიის საპარლამენტო სიაში საგრძნობლად შემცირდა ახალგაზრდა პარტაქტივისტების რიცხვი, ხოლო ნინო ბურჯანაძემ საერთოდ დატოვა იგი, რითაც საბოლოოდ დაამსხვრია მმართველი გუნდის ერთიანობისა და ურღვევობის მითი.
6. **მოხდა სააკაშვილის ხელისუფლების დისკრედიტაცია საერთაშორისო არენაზე.** ნოემბერ-იანვრის მოვლენების შემდეგ მთლიანად დაიმსხვრა მიხეილ სააკაშვილის, როგორც დემოკრატი რეფორმატორის იმიჯი. დღეს სააკაშვილი აღარ არის «დემოკრატიის შუქურა» და თუკი საპრეზიდენტო არჩევნების დროს საერთაშორისო დამკვირვებელთა უმრავლესობა წინასწარ იყო განწყობილი ხელისუფლების გამარჯვების მხარდასაჭერად. საპარლამენტო არჩევნების დროს მათი პოზიცია გაცილებით მკაცრი და ობიექტური იქნება.
7. **მოიშალა პოლიტიკური რეპრესიების მანქანა.** სააკაშვილის ხელისუფლება იძულებული გახდა ოპოზიციის ლიდერების მიმართ მოეხსნა «რუსეთის აგენტობისა» და სახელმწიფო გადატრიალების ბრალდება. გათავისუფლდა ირაკლი ბათიაშვილი, ასევე გაათავისუფლეს პატიმრობიდან ნოემბრის მოვლენების დროს დაკავებული რამდენიმე ათეული ადამიანი. ცხადია, ციხეებში კიდევ ბევრი უკანონო პატიმარი იმყოფება და ამ მხრივ გაცილებით მეტია გასაკეთებელი, მაგრამ გარკვეული პროგრესი სახეზეა. ხელისუფლება დღეს ვეღარ ბედავს ისე თავხედურად მოქმედებას, როგორც ამას ადრე აკეთებდა.
8. **ხელისუფლებამ უკან დაიხია მესაკუთრეებთან მიმართებაში.** შეჩერდა კერძო საკუთრების წართმევის, ადამიანების ბინებიდან გამოყრის და სახლების ნგრევის პროცესი, რასაც მასიური ხასიათი ჰქონდა და სრული განუკითხაობის ვითარებაში მიმდინარეობდა. ხელისუფლებამ 180

გრადუსით შეცვალა რიტორიკა და საკუთრების ხელუხლებლობის დამატებით გარანტიებზე დაიწყო საუბარი.

9. საარჩევნო ადმინისტრაციაში დაშვებულ იქნენ ოპოზიციის წარმომადგენლები. არსებული საარჩევნო კოდექსი ძალიან შორს დგას სრულყოფილებისგან, მაგრამ გარკვეული ცვლილებების შეტანა მაინც მოხერხდა. თუკი ადრე არჩევნების ჩატარებას მთლიანად ხელისუფლების მიერ დანიშნული, ერთპარტიული საარჩევნო ადმინისტრაცია ხელმძღვანელობდა, დღეს იქ ყველა დონეზე წარმოდგენილია ოპოზიცია. აღსანიშნავია ისიც, რომ ნოემბრამდე ხელისუფლებაში მრავალპარტიულ საარჩევნო ადმინისტრაციაზე სიტყვის გაგონებაც კი არავის სურდა. მართალია, პარიტეტი არ არსებობს და ხელისუფლებას ყველა კომისიაში რიცხობრივი უპირატესობა აქვს, მაგრამ ოპოზიციასაც აქვს რეალური შანსი უკეთ მოახერხოს ხმების დაცვა, მით უმეტეს, რომ საპარლამენტო არჩევნებზე ოპოზიციას კომისიის წევრები ჰყავს საოლქო კომისიებშიც, სადაც 5 იანვრის არჩევნების დროს მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებდნენ და ყველაზე მასშტაბური გაყალბებებიც სწორედ იქ მოხდა.

10. პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევნები ცალ-ცალკე ტარდება. ნოემბრის გამოსვლების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო საპარლამენტო არჩევნების გაზაფხულზე ჩატარება საპრეზიდენტო არჩევნებისგან დამოუკიდებლად, რასაც ხელისუფლება კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა და ქვეყნის დაღუპვის ტოლფასად აცხადებდა. სააკაშვილის ხელისუფლებისთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევნების ერთდროულად ჩატარებას და ამ მიზნით საკონსტიტუციო ცვლილებაც მიღებული ქონდათ. ხელისუფლების გეგმები ჩაიშალა და ეს არ მომხდარა მათი კეთილი ნების გამო. 21 მაისის საპარლამენტო არჩევნები ხალხმა თავდადებული ბრძოლის შედეგად მოიპოვა

ყოველივე ეს არ არის რომელიმე პიროვნების, პოლიტიკური პარტიის, ან თუნდაც ერთიანად ოპოზიციის მონაპოვარი. ეს არის ქართველი ხალხის მონაპოვარი. თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ არცერთი ეს მიღწევა არ არის შეუქცევადი. ახლა მთავარია ყველა ამ მონაპოვარის განმტკიცება და საქმის ბოლომდე მიყვანა. სწორედ ამ კუთხით განიხილავს საქართველოს რესპუბლიკური პარტია 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებს.

დღეს სააკაშვილის ხელისუფლება ფაქტობრივად გაკოტრებულია. მას არა აქვს საზოგადოების ნდობა, მას არ შესწევს უნარი გადაჭრას ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემები. ეს ხელისუფლება უნდა წავიდეს.

საქართველოში გონიერი ხელისუფლების დროა.

რატომ არის რესპუბლიკური პარტია ხელისუფლების საუკეთესო ალტერნატივა

ჩვენის ღრმა რწმენით, საპარლამენტო არჩევნების შედეგი უნდა იყოს არა მარტო სააკაშვილის ხელისუფლების წასვლა, არამედ სწორედ გონიერი ხელისუფლების მოსვლა. ისეთი ხელისუფლებისა, რომელიც პატივს სცემს საკუთარ ხალხს, აღიარებს და იბრძვის დემოკრატიისა და თავისუფლების იდეალების დასამკვიდრებლად, ჰყავს სტაბილური და წლების განმავლობაში შეკრული, პოლიტიკურ ბრძოლაში გამოცდილი გუნდი, და რომელსაც აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტრატეგია ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ასპექტებზე.

საქართველოს რესპუბლიკური პარტია მზად არის აიღოს პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე და თავისი პოლიტიკური კვალიფიკაციით, ინტელექტუალური და საკადრო რესურსებით განახორციელოს ისეთი ძირეული ცვლილებები, რომელიც უზრუნველყოფს ქართული სახელმწიფოს ძლიერებას, მისი თითოეული მოქალაქის თავისუფლებასა და კეთილდღეობას.

რესპუბლიკელების განაცხადია: საქართველო -- ევროპული, დემოკრატიული სახელმწიფო. რაც ნიშნავს არა მარტო დასავლურ ორიენტაციას და სტრატეგიულ პარტნიორობას ევროკავშირის ქვეყნებთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ნატოსთან, არამედ თვით საქართველოს პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების მოწყობას ევროპული დემოკრატიის პრინციპებით.

ჩვენი სტრატეგიული ამოცანებია:

- ა) კანონის უზენაესობის დამკვიდრება;
- ბ) მოქალაქეთა უსაფრთხოება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და სახელმწიფო სუვერენიტეტის განმტკიცება;
- გ) ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;
- დ) საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზირება და შესატყვისობა ევროკავშირის სტანდარტებთან;
- ე) საქართველოს დაჩქარებული ინტეგრაცია ევროსივრცეში ეროვნული ტრადიციებისა და თვითმყოფლობის საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საპარლამენტო არჩევნებისთვის რესპუბლიკურ პარტიას მომზადებული აქვს 30 საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ეხება სახელმწიფო მოწყობაში, ეკონომიკაში, განათლებასა და კულტურაში, ჯანდაცვაში და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებში ფუნდამენტურ ცვლილებებს საქართველოს მოსახლეობის პრობლემების, შეჭირვებისა და სიღარიბის რეალობის გათვალისწინებით. ყველა ეს ინიციატივა, კანონპროექტის სახით, ახალი პარლამენტის მუშაობის პირველივე თვეში, პირველ 30 დღეშივე იქნება განსახილველად გამოტანილი.

საქართველოს რესპუბლიკური პარტია საპარლამენტო მუშაობის დაწყებისთანავე განსახილველად გთავაზობთ შემდეგ საკანონმდებლო ინიციატივებს:

სახელმწიფო მმართველობის სისტემაში

- 1. საპარლამენტო რესპუბლიკა საპრეზიდენტო მმართველობის ნაცვლად.** აღნიშნული ინიციატივა ითვალისწინებს საკონსტიტუციო ცვლილებას. დამოუკიდებლობის თხუთმეტწლიანმა გამოცდილებამ ცხადლივ დაგვანახა, რომ დაუბალანსებელი, ერთპიროვნული საპრეზიდენტო მმართველობა საქართველოში მიდრეკილია ავტორიტარიზმისკენ, ხელისუფლება მთლიანად აიგივებს საკუთარ ძალაუფლებას სახელმწიფოსთან, რაც გარდუვალად წარმოშობს კონფრონტაციულ ფონს საზოგადოებაში. იმავედროულად, საპრეზიდენტო მმართველობის ქართული სისტემა არ ფლობს პოლიტიკური კრიზისების დაძლევის ეფექტურ მექანიზმებს. ამის სანაცვლოდ, რესპუბლიკურ პარტიას ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მისაღებ მმართველობის ფორმად მიაჩნია ევროპული ტიპის საპარლამენტო რესპუბლიკა, როდესაც მთავრობის ფორმირება ხდება არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ან პარტიათა კოალიციის მიერ.
- 2. კანონი ოპოზიციის შესახებ.** უზრუნველყოფს ოპოზიციის მონაწილეობას და ზეგავლენის ბერკეტებს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. კერძოდ, კანონის ძალით სამი საპარლამენტო კომიტეტის (ადამიანის უფლებები, საფინანსო-საბიუჯეტო, საპროცედურო კომიტეტები) თავმჯდომარის პოსტებს დაიკავებენ ოპოზიციის წარმომადგენლები. ოპოზიციასთან შეთანხმებით დაინიშნება კონტროლის პალატის თავმჯდომარე და სახალხო დამცველი.
- 3. კანონი თვითმმართველობის შესახებ.** აღსდგება ქალაქებისა და სოფლების თვითმმართველობა. მერები და გამგებლები (მათ შორის თბილისის მერი) აირჩევა პირდაპირი არჩევნების გზით ხალხის მიერ. გაფართოვდება თვითმმართველობის უფლებამოსილებები და მოხდება მათი მკაფიო გამიჯვნა ცენტრისგან. ახლებურად ჩამოყალიბდება და განისაზღვრება სამხარეო ადმინისტრაციის უფლებამოსილებები.

4. **დამოუკიდებელი სტატისტიკის დეპარტამენტი.** დღესდღეობით ქვეყანაში ფაქტობრივად არ არსებობს ორგანო, რომელიც ობიექტურ სტატისტიკურ მონაცემებს ფლობს. ობიექტური მონაცემების გარეშე კი ნებისმიერი, თუნდაც კონცეპტუალურად სწორი პოლიტიკა მარცხისთვისაა განწირული. სტატისტიკის დეპარტამენტი ეკონომიკის სამინისტროს ქვემდებარე სტრუქტურაა და ძირითადად დაკავებულია ციფრების მანიპულირებით და ხელისუფლების "მიღწევების" რეკლამირებით. ამის სანაცვლოდ შეიქმნება რეალურად დამოუკიდებელი სტრუქტურა, რომლის ხელმძღვანელის დანიშვნა მოხდება პარლამენტის მიერ, უმრავლესობისა და ოპოზიციის შეთანხმების საფუძველზე.
5. **სახელმწიფო მმართველობისა და პოლიციის დეპოლიტიზაცია.** საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს დეცენტრალიზაციას, მუნიციპალური პოლიციის შექმნას, სამინისტროს პოლიტიკური ჟანდარმის ფუნქციისაგან გათავისუფლებას ("კუდის" გაუქმებას), სამინისტროსგან უშიშროების უწყების გამოყოფას და უშიშროებისა და პოლიციური ფუნქციების მკაფიო გამიჯვნას. გაუქმდება ე. წ. "ოდეერები," ანუ სახელმწიფო უწყებებში უშიშროების კადრების "მიმაგრება," რაც სხვა არაფერია, თუ არა საბჭოთა ტოტალიტარიზმის მემკვიდრეობა. დაწესდება სერიოზული სასამართლო და საზოგადოებრივი კონტროლი სატელეფონო მოსმენებზე და კანონმდებლობის დამრღვევის მიმართ უმკაცრესი სანქციები გატარდება.
6. **პროკურატურის დეპოლიტიზაცია და საპროცესო შეთანხმების გაუქმება..** დაუშვებელია პროკურატურა იყოს ხელისუფლების პოლიტიკური იარაღი. შესაბამისი სტრუქტურული და ინსტიტუციური ცვლილებების გარდა, საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს პარლამენტის მიერ გენერალური პროკურორის დამტკიცებისას ოპოზიციის თანხმობის სავალდებულოებას. საპროცესო შეთანხმების მექანიზმი არა მხოლოდ დღეს გამოიყენება პოლიტიკური მიზნებით, არამედ თავად გამოყენების ალბათობა იმდენად მაღალია, რომ რესპუბლიკელების საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს მის საერთოდ გაუქმებას.
7. **საჯარო მოხელეთა და ბიუროკრატის დაცულობა.** დღეს საჯარო სამსახურები ფაქტობრივად მმართველი ძალის ადმინისტრაციულ რესურსს წარმოადგენენ. სამსახურში მიღება და დაწინაურება ხდება პოლიტიკური და კლანური ნიშნით, იგნორირებულია კვალიფიკაცია და პროფესიონალიზმი. ახალი საკანონმდებლო ინიციატივა გულისხმობს ცვლილებებს შრომის კოდექსსა და საჯარო სამსახურის შესახებ კანონში. ამ ცვლილებებით ევროკავშირის სტანდარტების საფუძველზე გარანტირებული იქნება საჯარო მოხელეთა დაცულობა, მკაფიოდ განისაზღვრება სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების პირობები, დადგინდება მასტიმულირებელი მექანიზმები და სოციალური გარანტიები კარიერული წინსვლისთვის. ჩვენი მიზანია სტაბილური, პროფესიული და პარტიულად ნეიტრალური საჯარო სამსახურის შექმნა, რომელიც გამორიცხავს

პოლიტიკური ელიტის ცვლილების პარალელურად ბიუროკრატის მუდმივ ცვლას

8. **ლუსტრაციის კანონი.** სააკაშვილის ხელისუფლება შეგნებულად ბლოკავს ამ კანონის მიღებას, რომელსაც ხელისუფლებაში მოსვლამდე თავადვე ითხოვდა და რომელიც ითვალისწინებს საბჭოთა სპეცსამსახურებში ნამსახური კადრებისა და ნომენკლატურული პირების დანიშვნის შეზღუდვას აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში ეს კანონპროექტი დაუყონებლივ იქნება მიღებული და ამოქმედებული.
9. **სამხედრო სამსახური და თავდაცვის ხარჯების გამჭვირვალობა.** დღეს ჯარის სიძლიერეს ხარისხი განსაზღვრავს და არა რაოდენობა. რესპუბლიკელებს გეჯერა, რომ ეროვნული თავდაცვის ბიუჯეტი საზოგადოებისთვის ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად არ უნდა იქცეს. ვთვლით, რომ ეროვნული თავდაცვის ბიუჯეტი მთლიანი შიდა პროდუქტის 3%-ს არ უნდა აღემატებოდეს, დღევანდელი 8%-ის. ჩვენ გავაუქმებთ სავალდებულო სამხედრო სამსახურს და გადავალთ პროფესიულ არმიაზე. ჩვენ შევცვლით რეზერვისტთა გაწვევის არსებულ ქაოტურ სისტემას, რომელიც საერთოდ არ ითვალისწინებს მოქალაქის ინტერესებს, სამსახურებრივ თუ საოჯახო გეგმებს და პირობებს. ჩვენ რეზერვისტებს თავად ამოვარჩევინებთ სამსახურის გავლის მათთვის მისაღებ დროს და ადგილს. ჩვენ შევქმნით სამხედრო ხარჯების გამჭვირვალობის სისტემას, რათა ცალკეული კორუფციონერი ჩინოვნიკების გამო აღარასოდეს შეიღახოს ჩვენი ოფიცრებისა და ჯარისკაცების ღირსება; ჩვენ გავათავისუფლებთ სამხედრო მოსამსახურეებს მთავრობის პოლიტიკური ინტერესების სამსახურისგან და მათ დავაკისრებთ ერთადერთ მოვალეობას – სამსახურს სამშობლოსათვის.
10. **სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობა.** რესპუბლიკელები რელიგიის საკითხებს განვიხილავთ როგორც მკაცრად ინდივიდუალურ კერძო თემებს და ვეწინააღმდეგებით ეკლესიის ღია თუ ფარული პოლიტიზების ყოველგვარ მცდელობას, მიუხედავად იმისა, ხდება ეს ხელისუფლების თუ რომელიმე ოპოზიციური გაერთიანების მხრიდან. ამასთანავე, გადაუდებელ ამოცანად ვთვლით საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების სრულად ამოქმედებას. ამ მიმართულებით რესპუბლიკური პარტია პირველი რიგის ამოცანად განვიხილავს საქართველოს ეკლესიისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის სამართლებრივი და ფინანსური გარანტიების შექმნას. ყოფილი საეკლესიო მიწები, რომელიც დღეს სახელმწიფოს საკუთრებაშია, უნდა დაუბრუნდეს ეკლესიას. დანარჩენი ზარალი უნდა დაიფაროს ფულადი სახით. ასეთი წესით ეკლესია ყოველწლიურად ბიუჯეტიდან მიიღებს ფულად თანხას

(ხვენი ვარაუდით წელიწადში 15-20 მილიონ ლარს). ეს იქნება ზარალის ანაზღაურება, არ იქნება ეკლესიის სუბსიდირება და ვერ ჩაითვლება რელიგიურ დისკრიმინაციად.

ეკონომიკაში

11. **კანონი გადამხდელის უფლებების დაცვის შესახებ.** მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ადმინისტრაციული უწყებები იმთავითვე უპირატეს მდგომარეობაში არიან ჩაყენებული. მათ შეუძლიათ პრაქტიკულად ნებისმიერი საბაბით შეაფერხონ ან საერთოდ გააჩერონ მეწარმის საქმიანობა. მეწარმისთვის უადრესად მოუხერხებელია გასაჩივრების პროცედურა. რესპუბლიკელების საკანონმდებლო ინიციატივა გულისხმობს შესაბამის უწყებათა უფლებამოსილებების მკვეთრ შეზღუდვას. სამეწარმეო საქმიანობის შეჩერება უნდა ხდებოდეს მხოლოდ სასამართლოს სანქციით, შეიცვლება გასაჩივრების პროცედურა, სადაც პრიორიტეტი მიენიჭება ბიზნესს და არა ადმინისტრაციულ უწყებას, მეტი უფლებამოსილებით აღიჭურვება დამოუკიდებელი არბიტრაჟი. გაუქმდება ადმინისტრაციული უწყების უფლება დააჯარიმოს, დალუქოს, შეაჩეროს ბიზნესის საქმიანობა საამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე.

12. **საგადასახადო კოდექსი.** სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის სწორი საგადასახადო ურთიერთობის აწყობა სახელმწიფოებრიობის ფუნდამენტის შექმნას ნიშნავს. საქართველოში ეს ფუნდამენტო ჯერ კიდევ არ შექმნილა და საჭიროა საგადასახადო სისტემის ძირეული გადააზრება. მანამდე აუცილებელია რამდენიმე პრინციპული ცვლილების დაუყოვნებლივ გატარება:

- **გაუქმდება გადასახადების ავანსად გადახდის წესი.** დღეს საგადასახადო კოდექსით დადგენილია მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების ავანსად გადახდის წესი. ეს იმას ნიშნავს, რომ გადასახადის გადამხდელი ავანსად – უპროცენტო სესხად სახელწმიფოს აძლევს თანხას და მას კი აკლდება ეს თანხა, როგორც საბრუნავი რესურსი. ეს უსამართლობა „გამართლებულია“ იმით, რომ ბიუჯეტში თანაბარზომიერად – წლის განმავლობაში შევიდეს შემოსავალი. რესპუბლიკელები ამ მანკიერ წესს შევცვლით ისე, რომ საბრუნავი სახსრები არ წავართვათ გადასახადის გადამხდელს და ბიუჯეტშიც თანხა მუდმივად (თანაბარზომიერად) შევიდეს.
- **გაუქმდება საარსებო მინიმუმის დაბეგვრა.** სახელმწიფოს არ აქვს უფლება, დაბეგროს ადამიანის შემოსავლის ის ნაწილი, რაც წარმოადგენს ქვეყანაში არსებულ საარსებო მინიმუმს. ეს ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, რადგან ხდება სიცოცხლის უფლების ხელყოფა. რესპუბლიკელების რეფორმით საარსებო მინიმუმი დაუყოვნებლივ გამოიქვითება პირის დასაბეგრი

შემოსავლებიდან, ხოლო მეორე ეტაპზე ასევე გამოიქვეითება მოქალაქის კმაყოფილებაზე მყოფი სხვა შრომისუნარო პირების საარსებო მინიმუმიც – ოჯახის მოხუცებული და შრომისუნარო წევრების რჩენა ქართველისთვის ყოველთვის საპატიო მოვალეობა იყო და სახელმწიფომ ეს უნდა გაითვალისწინოს.

- ადგება საგადასახადო დავების კერძო არბიტრაჟში გადაწყვეტის წესი, სანამ ძირფესვიანად არ შეცვლება სავალალო მდგომარეობა სასამართლო სისტემაში.
- საშემოსავლო გადასახადი მომდევნო სამი წლის განმავლობაში შემცირდება 25%-დან 15%-მდე, ხოლო 2014 წლისთვის – 10%-მდე.
- ნებისმიერი ცვლილება საგადასახადო კოდექსში, ძალაში შევა მიღებიდან არაუადრეს ერთი წლისა, გარდა იმ ცვლილებებისა რომელიც ამსუბუქებს გადამხდელის მდგომარეობას.

13. კანონი პრივატიზაციის პროცესში მოსახლეობის ინტერესების დაცვისა და სტაბილიზაციის ფონდის შესახებ. დღეს სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია ხდება სრული განუკითხაობის და ელიტარული კორუფციის ატმოსფეროში. ტენდერებს ფორმალური ხასიათი აქვს და უმეტეს შემთხვევაში არც გამოიყენება. ამის სანაცვლოდ რესპუბლიკელთა საკანონმდებლო ინიციატივა გულისხმობს პრივატიზაციის პროცესის ჩატარებას მოსახლეობაში აქციების გაცემის სახით. ეს, ერთის მხრივ, გაზრდის მესაკუთრეთა ფენას საქართველოში, მეორეს მხრივ კი ხელს შეუწყობს საფონდო ბირჟებისა და საბაზრო ეკონომიკის ეფექტური მექანიზმების ამუშავებას. აიკრძალება ერთ პირთან მოლაპარაკების გზით სახელმწიფო ქონების, განსაკუთრებით ბუნებრივი რესურსების, გასხვისება. პრივატიზაციის შედეგად მიღებული სახელმწიფო შემოსავლები აკუმულირდება სტაბილიზაციის ეროვნულ ფონდში და არა მიმდინარე წლის ბიუჯეტში.

14. კანონი ბიზნესის თავისუფლების და დასაქმების შესახებ. დასაქმება უშუალოდ სახელმწიფოს მიერ ნიშნავს ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გაღებას. ბიუჯეტი ივსება თქვენგან აკრეფილი გადასახადებით. ესე იგი, სახელმწიფოს მიერ თქვენი დასაქმება ნიშნავს თქვენი ოჯახის სხვა წევრის ხელფასიდან დაქვითული სასსრებით თქვენთვის ხელფასის მოცემას ან თქვენი შვილის მასწავლებლისთვის ხელფასის შემცირებას, რაც ჯამში თქვენი შვილის განათლებას აკლდება. ამას გთავაზობთ ხელისუფლება. საპირისპიროდ, დასაქმება კერძო საწარმოში ნიშნავს დამატებითი დოვლათის შექმნას სხვისთვის რაიმეს წაურთმეველად. ამიტომ, რესპუბლიკური პარტია დასაქმების პრობლემას გადაჭრის დამსაქმებელთა, ანუ ბიზნესმენტა სრული გათავისუფლებით სახელისუფლებო რეკეტისგან. ყოველი ღარი, რომელსაც ხელისუფლების წარმომადგენლები ბიზნესმენტებს უკანონოდ ართმევენ არჩევნებისთვის ან შადრევნებისთვის, აკლდება წარმოების განვითარებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას; ყოველი საწარმო, რომელიც იხურება ან ვერ იხსნება ხელისუფლების “კრიშის” ქვეშ არსებული პრივილეგირებული სხვა

საწარმოების გამო, ნიშნავს სამუშაო ადგილების შემცირებას ან ვერ შექმნას; ყოველი იმპორტირებული პროდუქტი, რომელიც იმიტომაა ადგილობრივზე უფრო იაფი, რომ ხელისუფლება ხელოვნურად ზღუდავს ადგილობრივ წარმოებას, ნიშნავს თქვენს ნაცვლად სხვა ქვეყანაში უცხოელის დასაქმებას. რესპუბლიკური პარტია წერტილს დაუსვამს ამ მანკირებებს, რაც თქვენი დასაქმების ტოლფასი იქნება. სრულფასოვნად აღსდგება და დამოუკიდებელ სტრუქტურად ჩამოყალიბდება ანტიმონოპოლური სამსახური, რომელიც დაიცავს წვრილ და საშუალო ბიზნესს კლანურ-ნომენკლატურული მონოპოლიებისგან და გამორიცხავს ფასების ხელოვნურ ზრდას.

15. **კანონი სოფლის განვითარების შესახებ.** რესპუბლიკელები სოფელს განვიხილავთ არა როგორც საკვები პროდუქტების საწარმოო ადგილს, არამედ როგორც ერის თვითმყოფადობისა და ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების უპირველეს ინსტიტუტს. ამასთანავე, გარდაუვალია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირთა რაოდენობის შემცირება, რაც სოფლად ახალი ტიპის სამუშაო ადგილების შექმნის გარეშე კიდევ უფრო გააძლიერებს მიგრაციას ქალაქისკენ. რესპუბლიკელები ვერ გავიზიარებთ ხელისუფლების მიდგომას, რომელიც სოფლად მცხოვრებ 2 ძროხის მყოფ ან 20 მეთხვი ნაკვეთის მქონე გლეხს დასაქმებულად აცხადებს და მასზე ზრუნვას წყვეტს. ჩვენი პროგრამით სოფელი იქცევა საკუთარი ქონების და საკუთარი თვითმმართველობის მქონე ერთეულად, სოფლის მცხოვრებლებს შეეძლებათ გრძელვადიანი იაფი კრედიტის აღება და ფერმერული ბიზნესის დაწყება სათანადო კონსულტაციებით, ადგილობრივი ბიუჯეტი მოხმარდება ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას და არა მორიგ შადრევნებს და ატრაქციონებს, ცენტრალური ბიუჯეტიდან შექმნილი ტრაქტორებს და სხვა ტექნიკას ფერმერები მიიღებენ და არა საარჩევნო კამპანიების ხელმძღვანელები.

16. **ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა და გარემოს დაცვა.** ქვეყნის უნიკალური ბუნებრივი პირობები, მისი წარმატებული განვითარებისათვის აუცილებელი, მზარდი ღირებულების მქონე, სტრატეგიული რესურსია. ჩვენი ტიპის ქვეყნისათვის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის სფეროში აუცილებელია მკაცრი სახელმწიფო რეგულირება. წინააღმდეგ შემთხვევაში მაღალი ერთჯერადი ეკონომიკური ეფექტის მიღების მიზნით განხორციელებული პროექტები ბუნებრივ გარემოსა და წიაღისეულ სიმდიდრეს აუნაზღაურებელ ზარალს აყენებს. აუცილებელია ბუნებრივი რესურსებით აუქციონის წესით სარგებლობის მასიურ პრაქტიკაზე უარის თქმა და მკაცრი სახელმწიფო კონტროლის დაწესება, ვინაიდან ასეთი ტიპის სარგებლობა ზღუდავს ხელმისაწვდომობას ბუნებრივ სიმდიდრეებზე და მნიშვნელოვნად ზრდის სიღარიბის მიღმა მყოფი მოსახლეობის რაოდენობას.

განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში

17. **განათლების საბიუჯეტო დაფინანსების გაზრდა და დაფინანსების კომპლექსური სისტემის შემოღება.** განათლების სისტემა საქართველოში არა მხოლოდ ზეპირი განცხადებების დონეზე, არამედ რეალურად უნდა ეფუძნებოდეს ქართულ საგანმანათლებლო ტრადიციებს და უნდა მიუახლოვდეს ევროპულ სტანდარტებს. ცვლილებები უპირველეს ყოვლისა, ეხება დაფინანსების საკითხს. რესპუბლიკელთა ინიციატივის მიხედვით, კანონით განისაზღვრება, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის მინიმუმ 5% მოხმარდეს განათლების სფეროს, რაც დაახლოებით სამჯერ მეტია, ვიდრე ამჟამინდელი ხარჯები.

სადღეისოდ სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების საბიუჯეტო დაფინანსების ღირებულება წელიწადში ვ. ვ. ვაუჩერულ დაფინანსებაზე მოდის (ფინანსდება მოსწავლე და არა სასწავლებელი). ამგვარი მიდგომა განათლების სფეროს მიმართ მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ გამოიყენება, რადგან იგი მძიმე მდგომარეობაში აგდებს მცირეკონტინგენტიან სკოლებს, უმაღლეს სასწავლებლებთან მიმართებაში კი საერთოდ ნონსენსია. ერთ სულ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივი შესაძლებელია იყოს მაქსიმუმ დაფინანსების ერთ-ერთი და, ისიც, არა განმსაზღვრელი კომპონენტი. საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს სასწავლებლების მიმართ ინდივიდუალურ მიდგომას და დაფინანსების სხვადასხვა ფორმების თანაარსებობას, სკოლების შენარჩუნებისა და ფუნდამენტური განათლების მიღების მიზნით.

18. **მასწავლებელი – ნომერი პირველი პროფესია.** განათლების სფეროს პრიორიტეტულობა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟულობის ზრდას. საკანონმდებლო ინიციატივის მიხედვით მასწავლებლის მინიმალური ხელფასი გაორმაგდება, გარდა ამისა, მოხდება მასწავლებელთა ნებაყოფლობითი ატესტაციის შედეგისა და გამოცდილების გათვალისწინება ხელფასის განსაზღვრისას. რაც უფრო გამოცდილია მასწავლებელი, მით უფრო იზრდება მისი სახელფასო განაკვეთი.

19. **ცვლილებები განათლების კანონმდებლობაში.** მნიშვნელოვნად შეიცვლება ერთიანი ეროვნული გამოცდების დებულებები. ჩვენი კანონოპროექტის მიხედვით ერთიანი ეროვნული გამოცდა არა მხოლოდ უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების, არამედ (როგორც ეს ევროპის უმეტეს ქვეყანაშია), საშუალო განათლების ატესტაციის მიღების აუცილებელი პირობა გახდება. საგამოცდო ტესტების შინაარსი აუცილებლად უნდა ეთანადებოდეს სასკოლო პროგრამებს. გაუქმდება გამოცდა ზოგადი უნარების ტესტში, როგორც სრულიად ზედმეტი და ხელოვნური ბარიერი (ასეთი ტიპის ტესტი არსად არ გამოიყენება სადაც სწავლების პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით წარიმართება. უნარ-ჩვევების

სტიმულირება კი კონკრეტული საგნის პროგრამაში უნდა იყოს ჩადებული).

20. **უმაღლესი სასწავლებლების ავტონომია და ცვლილებები აკრედიტაციის სისტემაში.** რესპუბლიკური არჩევანია სახელმწიფო მმართველობისაგან თავისუფალი, ავტონომიური უმაღლესი სასწავლებლები. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე მოხდება მართვისა და სტრუქტურული მოწყობის სავალდებულო უნიფიცირებული მოდელის გაუქმება უმაღლეს სასწავლებლებში. უნივერსიტეტები მიიღებენ რეალურ ავტონომიას. დღეს აკრედიტაციის მექანიზმი ხელისუფლების მიერ გამოიყენება, როგორც სასწავლებლების გაუქმებისა და დარჩენილი შენობა-ნაგებობის გაყიდვის ინსტრუმენტი. რესპუბლიკელების საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს განათლების სამინისტროსგან დამოუკიდებელი სააკრედიტაციო სააგენტოს შექმნას, საჯარო სკოლების აკრედიტაციის საერთოდ გაუქმებას, აკრედიტაციის პროცესის მკაფიო გამიჯვნას ლიცენზირებისგან, რაც გულისხმობს ე. წ. “ინსტიტუციური აკრედიტაციის” გაუქმებას.

21. **კანონი ქველმოქმედებისა და სპონსორობის შესახებ.** კულტურის სფეროში ქველმოქმედება და სპონსორობა საკანონმდებლო დონეზე იქნება წახალისებული. გაუქმდება ფისკალური ბარიერები, რომლებიც დღემდე სერიოზულად უშლის ხელს ფინანსური სახსრების მოზიდვას. ამასთანავე მიღებული იქნება ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის საკანონმდებლო აქტები რომელიც ორმხრივი ხელშეწყობის პირობებით (ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის) უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, გადარჩენასა და ქართული საგანძურის პროპაგანდას საერთაშორისო ასპარეზზე, მათ შორის ტურისტების მოზიდვის მიზნით.

22. **კანონი ბავშვთა სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ.** დაუშვებელია ბავშვთა სპორტის სრულ კომერციულ საწყისებზე დაფუძნება, რადგან ეს სფერო არის არა მხოლოდ და არა იმდენად სპორტი, რამდენადაც ბავშვთა ჯანმრთელობისა და აღზრდის, ცხოვრების ჯანმრთელი წესის, სამართლიანი კონკურენციის დამკვიდრების სისტემა. ნარკომანიისა თუ საერთოდ ცხოვრების არაჯანსაღი წესის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ უარყოფით ვერ იქნება ეფექტური. უნდა შეიქმნას სწორი, ჯანსაღი ალტერნატივა, რომელიც კრიმინალურ კალაპოტს ააცილებს ახალგაზრდობის ენერჯიას, ან კიდევ მომხმარებელს დაუკარგავს ნარკოტიკებით მოვაჭრეს და ნარკოვაჭრობა, როგორც ბიზნესი, წამგებიანი გახდება.

პოპულარობის, მასობრიობისა და მცირე დანახარჯებით მაქსიმალური ეფექტის მიღების შესაძლებლობები არსებობს სპორტის ისეთ სახეობებში, როგორებიცაა რაგბი, ფეხბურთი და ჭიდაობის სახეობები. ასევე

მნიშვნელოვანია ქართული საბრძოლო ხელოვნებების ყველა ასპექტის შესწავლა და სკოლაში მისი სწავლების შესაძლებლობის განხილვა.

სასამართლო სისტემაში

23. მოსამართლეთა სოციალური დაცვა და ასაკობრივი ზღვარის გაზრდა. საკანონმდებლო ინიციატივის მიხედვით მოხდება მოსამართლის სოციალური დაცვის გარანტიების მხოლოდ პარლამენტის მიერ მიღებული კანონით დადგენა, ასევე ხელისუფლების სხვა შტოების მხრიდან რაიმე ტიპის შეღავათების ან პრივილეგიების დადგენის აკრძალვა. ამასთანავე, ჩვენი კანონოპროექტის შესაბამისად, მოხდება სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებელი ბიუჯეტის პარლამენტის მიერ დამტკიცება.

რესპუბლიკური არჩევანია განათლებული, გამოცდილი და პროკურატურის ზეწოლისაგან თავისუფალი მოსამართლე, ამასთანავე სწრაფი, ეფექტური და ხელმისაწვდომი (როგორც გეოგრაფიულად, ასევე ფინანსურად) მართლმსაჯულება. წარსულს ჩაბარდება ის დრო, როდესაც მოსამართლეების დანიშვნისას პრიორიტეტი ენიჭებოდა სრულიად ახალგაზრდა, გამოუცდელ კადრებს. საკონსტიტუციო და უზენაეს სასამართლოებში დანიშვნისთვის დასაშვები ასაკი გაიზრდება 40 წლამდე, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები დაინიშნებიან სიცოცხლის ვადით, იმავედროულად, საკანონმდებლო ინიციატივა გულისხმობს მოსამართლეებისთვის საპენსიო ასაკის გაზრდას 70 წლამდე.

24. სასამართლო პროცესის საჯაროობა და გამჭვირვალობა. გაუქმდება ის შემზღუდავი ნორმები, რომლის მიხედვითაც იკრძალება სასამართლოს დარბაზებში აუდიო-ვიდეო გადაღების დაშვება. საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს აგრეთვე მოქალაქისა და სახალხო დამცველისთვის საკონსტიტუციო სასამართლოში მიმართვის შესაძლებლობების გაფართოებას.

25. არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის გაზრდა. გაუქმდება არსებული კანონმდებლობით დადგენილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი – 12 წელი (სრულიად გაუგებარი და ლოგიკურად აუხსნელი ნორმა) და იგი დაუბრუნდება საერთაშორისო ნორმებით დადგენილ ნიშნულს.

ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში

26. **საპენსიო უზრუნველყოფა სახელმწიფო და კერძო ფონდებიდან.** ხელისუფლება აგრძელებს ბიუჯეტიდან პენსიონერებისთვის წინასაარჩევნოდ 5%-ით პენსიების მომატებას, ფასები კი იმავე პერიოდში 20%-ით იზრდება. ეს მაშინ, როდესაც საშუალო პენსია ისედაც საარსებო მინიმუმის ნახევარს არ აღემატება. ასეთი პოლიტიკის გაგრძელებით ყოველ მოცემულ მომენტში “გაზრდილი” პენსია საარსებო მინიმუმზე კიდევ უფრო ნაკლები აღმოჩნდება.

რესპუბლიკელების ხედვით პენსია მხოლოდ პენსიონერების პრობლემა არ არის. ჩვენი საპენსიო რეფორმით ყოველი სრულწლოვანი მოქალაქე დაუყოვნებლივ ჩაერთვება სახელმწიფო და კერძო საპენსიო დაზღვევის კომბინირებულ სისტემაში. სახელმწიფოს დაეკისრება მოხუცებულობის შემწეობის (დღეს რომ “პენსია” ჰქვია) და საჯარო მოხელეთა საპენსიო დაზღვევის უზრუნველყოფა. კერძო დამქირავლებს დაეკისრებათ დაქირავებულთა საპენსიო დაზღვევა. ამგვარად, უახლოეს მომავალში ყოველი პენსიონერი მიიღებს მოხუცებულობის შემწეობას + საპენსიო ფონდიდან გადახდილ პენსიას, რაც ღირსეული ცხოვრების პირობებს უზრუნველყოფს.

აღნიშნული მექანიზმის ამოქმედებამდე, გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო ვალდებულია გასცეს საბაზისო პენსია საარსებო მინიმუმთან თანაბრობით და ამასთანავე, გათვალისწინებული იყოს ყოველი ადამიანის ნამსახური წლები და დამსახურება. საარსებო მინიმუმი ასევე გამოყენებული უნდა იყოს როგორც საბაზისო საფუძველი სხვა კატეგორიის პენსიების გაცემისათვის: ინვალიდობის პენსია და სხვა.

27. **მედიკამენტებზე მონოპოლიის გაუქმება, წამლის გაიაფება, ჯანმრთელობის კომბინირებული დაზღვევა.** დღეს საქართველოში რამდენიმე ფარმაცევტული ფირმა სრულად აკონტროლებს მედიკამენტების ბაზარს. მათ ხელშია წამლების წარმოებაც, იმპორტიც და დისტრიბუციაც. ასეთი არაჯანსაღი და თავისი არსით კორუფციული სისტემა განაპირობებს მედიკამენტების არაბუნებრივად მაღალ ფასს. ფარმაცევტული საქმიანობის დემონოპოლიზაცია აამოქმედებს კონკურენციის მექანიზმს და საგრძნობლად გააიაფებს წამლის ფასებს.

რესპუბლიკელების პროექტით სახელმწიფო უზრუნველყოფს საკუთარი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებს დაფინანსებას **შერეული სადაზღვევო** პრინციპით.

- სახელმწიფო ვალდებული იქნება თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები დააზღვიოს (პირველ ეტაპზე) 175 ლარის ოდენობით წელიწადში.

- დამსაქმებელი ვალდებული იქნება ყოველი დასაქმებულის ჯანმრთელობის დაცვის ღონიძიებები დააზღვიოს (ფიქსირებულად) 175 ლარის ოდენობით წელიწადში.
- მოქალაქე ვალდებული იქნება საკუთარი ჯანმრთელობის დაცვის ღონიძიებები ინდივიდუალური წესით დააზღვიოს წელიწადში 60 ლარის ოდენობით.

ამგვარი სისტემა უზრუნველყოფს ყოველი მოქალაქისთვის ყოველგვარი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას და ჯანდაცვის მუშაკთა შრომის ადეკვატურ ანაზღაურებას.

28. კანონი სამედიცინო ობიექტების პრივატიზაციისა და სამედიცინო საქმიანობის სუბიექტის უფლებათა დაცვის შესახებ.

საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების პრივატიზაციას ხელისუფლება დღეს ძირითადად ფარმაცევტული კომპანიების მეშვეობით ახდენს, რაც წმინდა კორუფციული გარიგებაა და აშკარაა ინტერესთა კონფლიქტი – ფარმაცევტული კომპანია დაინტერესებულია საკუთარი პროდუქციის გასაღებით და ყველა სხვა სახის მედიკამენტის ბლოკირებას ახდენს, რაც პირდაპირ საფრთხეს უქმნის პაციენტის ჯანმრთელობას. რესპუბლიკური პარტიის საკანონმდებლო ინიციატივა ითვალისწინებს პრივატიზაციის შედეგების კანონიერების გადახედვას და არსებული მახინჯი პრაქტიკის გაუქმებას. დღეს სამედიცინო პერსონალი პრაქტიკულად დაუცველია. ჩვენ გვაქვს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, მაგრამ არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც განსაზღვრავდა სამედიცინო საქმიანობის სუბიექტის (ექიმი, ექთანი, სანიტარი და ა. შ.) უფლება-მოვალეობებს. რესპუბლიკელთა ინიციატივით მოხდება აღნიშნული კანონის მიღება, რაც შექმნის მყარ საკანონმდებლო გარანტიებს სამედიცინო საქმიანობისთვის.

29. დევნილთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა დიდ წილად საქართველოში მცხოვრები დევნილების ინტერესების დაცვასა და მათ მიმართ სახელმწიფოს ღირსეულ მოპყრობაზე გადის. რესპუბლიკური არჩევანია დევნილთა ღირსეულ დაბრუნებამდე ღირსეული დღევანდელობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით, ჩვენი კანონპროექტი ითვალისწინებს დევნილებისათვის დღევანდელი საცხოვრებლების საკუთრებაში გადაცემას, დევნილთა სოციალური დაცვის სპეციალური სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებას, მათ შორის სოციალური შეღავათების, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემაში.

30. კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ.

შრომითი მიგრაციის კუთხით დღეს სრული განუკითხაობაა. არსად არ არის აღრიცხული, თუ უცხოეთის რამდენი მოქალაქეა შემოსული და დასაქმებული საქართველოში და რამდენი საქართველოს მოქალაქე იმყოფება უცხოეთში. აუცილებელია ამ პროცესების აღრიცხვა და მოწესრიგა. უცხოეთის სახელმწიფოებთან გაფორმდება სპეციალური ხელშეკრულებები, სადაც გათვალისწინებული

იქნება ე. წ. შრომითი ვიზების გაცემა. ამ ხელშეკრულებების საფუძველზე, უცხოეთის ქვეყნები გასცემენ ოფიციალურ ვიზას საქართველოს მოქალაქეებზე, რომლის მიხედვითაც მათ ლეგალურად ექნებათ მუშაობის უფლება. ასევე, საქართველოში უცხოეთის მხოლოდ იმ მოქალაქეს ექნება მუშაობის უფლება, ვიზედაც ანალოგიური ვიზა გაიცემა. ამ კანონის მიღება შექმნის სერიოზულ ბარიერს ტრეფიკინგის წინააღმდეგ და ასევე მოაწესრიგებს საქართველოში მომუშავე უცხოელებიდან გადასახადების ამოღების პროცესს.

ასეთია საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წინასაარჩევნო განაცხადი. ჩვენ მზად ვართ ბრძოლისთვის. მზად ვართ გამარჯვებისთვის და მზად ვართ შევასრულოთ ყველაფერი, რასაც ამომრჩეველს დავპირდით.

ერთგვარად სიმბოლურია, რომ ზუსტად არჩევნების დღეს, 21 მაისს, საქართველოს რესპუბლიკურ პარტიას დაარსებიდან ოცდაათი წელი უსრულდება. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ 2008 წლის 21 მაისი იქნება საქართველოში გონიერი ხელისუფლების დაბადების დღე.